სიპავიჩიუსი ლიეტუვას წინააღმდეგ

SIPAVIČIUS v. LITHUANIA

(საჩივარი no. 49093/99)

გადაწყვეტილება

21 თებერვალი 2002

საბოლოო

10/07/2002

ფაქტები

მომჩივანი სტასის სიპავიჩიუსი, ლიეტუვას მოქალაქე, პოლიციის კომისარია. მომჩივანი ბრალდებული იყო მოტყუებით ქონების შეძენაში. 1998 წლის 22 მაისს ვილნიუსის რაიონულმა სასამართლომ მისი თავდაპირველად წაყენებული ბრალდება გადააკვალიფიცირა და დამნაშავედ ცნო სამსახურეობრივი მოვალეობის გაუფრთხილებლობით შეუსრულებაში. მას მიესაჯა ერთი წლით თავისუფლების აღკვეთა (მოგვიანებით შემცირდა რვა თვემდე) და ჩამოერთვა სამართალდამცავი ორგანოების სისტემაში მუშაობის უფლება. მომჩივანმა აღნიშნული გადაწყვეტილება უშედეგოდ გაასაჩივრა სააპელაციო სასამართლოში. უშედეგო აღმოჩნდა ასევე საკასაციო საჩივარიც.

სამართალი

კონვენციის მე-6 მუხლის სავარაუდო დარღვევა

23. მომჩივანი დავობდა, რომ მას შემდეგ, რაც მას ბრალი წაუყენეს სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების საფუძვლით, პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დანაშაული გადაკვალიფიცირდა როგორც სამსახურეობრივი მოვალეობის გაუფრთხილებლობით შეუსრულებლობა, რამაც შეაფერხა მისი თავდაცვის უფლებების შესაბამისი გამოყენება, რაც სისხლისსამართლებრივ საქმისწარმოებას უსამართლოს ხდიდა.

24. კონვენციის მე-6 მუხლის შესაბამისი ნაწილების მიხედვით:

„1. ყოველი ადამიანი მისთვის წარდგენილი სისხლისსამართლებრივი ბრალდების საფუძვლიანობის გამორკვევისას, აღჭურვილია სამართლიანი ...სასამართლოს უფლებით ... .

3. ყოველ ბრალდებულს აქვს, სულ მცირე, შემდეგი უფლებები:

ა. მისთვის გასაგებ ენაზე დაუყოვნებლივ და დაწვრილებით გააცნონ წარდგენილი ბრალდების არსი და საფუძველი;

ბ. ჰქონდეს საკმარისი დრო და საშუალებანი საკუთარი დაცვის მოსამზადებლად;

... .”

25. მთავრობამ აღნიშნა, რომ სამსახურეობრივი მოვალეობის გაუფრთხილებლობით შეუსრულებლობის დანაშაული წარმოადგენდა სამსახურეობრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების თავდაპირველი ბრალდების ელემენტს და რომ მოგვიანებით, პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ ბრალდების გადაკვალიფიცირება მოხდა ეროვნული მატერიალური და საპროცესო მოთხოვნების შესაბამისად. გარდა ამისა, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ პირველი ინსტანციის მოსამართლემ ორჯერ გააფრთხილა მომჩივანი შესაძლო ცვლილებების შესახებ 1998 წლის 24 აპრილს და 11 მაისს, იგი უზრუნველყოფილი იყო კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი და მე-3 პუნქტის ა. და ბ. ქვეპუნქტებით გათვალისწინებული გარანტიებით სარგებლობის უფლებით.

26. მომჩივანმა აღიარა, რომ 1998 წლის 24 აპრილის და 11 მაისის საქმის განხილვის დროს პირველი ინსტანციის მოსამართლემ იგი გააფრთხილა მისი ბრალდების შესაძლო დამძიმების შესახებ. ... მიუხედავად ამისა, არცერთ გაფრთხილებაში არ იყო მითითებული ბრალდების გადაკვალიფიცირების თაობაზე. მომჩივანი დავობდა მე-6 მუხლის საფუძველზე, რადგან იგი გაასამართლეს სრულიად სხვა დანაშაულისთვის და არა მისი ბრალდების საფუძველზე.

27. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო კიდევ ერთხელ აღნიშნავს, რომ სამართალწარმოების სამართლიანობა უნდა შეფასდეს მთლიანი საქმისწარმოების გათვალისწინებით. მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის ა. ქვეპუნქტის მიხედვით, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ბრალდებულისათვის „ბრალდების“ ცნობას. დანაშაულის დეტალებს გადამწყვეტი როლი აქვთ სისხლის სამართლის პროცესში იმ მომენტიდან, როცა ეჭვმიტანილს წერილობითი ფორმით ოფიციალურად აცნობებენ წარდგენილი ბრალდების შესახებ. კონვენციის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის ა. ქვეპუნქტით ბრალდებულს უფლება აქვს ინფორმირებული იყოს არა მხოლოდ ბრალდების „მიზეზის“ შესახებ (ქმედებები, რომლებიც წინ უძღვოდა მის სავარაუდო დანაშაულს და რომლებსაც ეფუძნება მისი ბრალდება), არამედ ასევე ამ ქმედებების იურიდიული კლასიფიკაციის შესახებ. ეს ინფორმაცია მას დეტალურად უნდა მიეწოდოს (*Dallos v. Hungary*, no. 29082/95, 1.3.2001, § 47).

28. ზემოაღნიშნული დებულების ფარგლები უნდა შეფასდეს კონვენციის მე-6 მუხლის 1-ი პუნქტით გარანტირებული უფრო ზოგადი უფლების გათვალისწინებით. სისხლის სამართლის საქმეებში სრულყოფილი, დეტალური ინფორმაციის მიწოდება

ბრალდებულისთვის წაყენებული ბრალდების შესახებ და შემდგომში, სამართლებრივი კლასიფიკაცია რომელსაც შესაძლოა სასამართლო მიიღებს ამ საკითხთან დაკავშირებით, არსებითი წინაპირობაა სამართალწარმოების სამართლიანობის უზრუნველსაყოფად. ამასთან დაკავშირებით, უნდა აღინიშნოს, რომ მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის ა. ქვეპუნქტი არ აწესებს რაიმე სპეციალურ ფორმალურ მოთხოვნას იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოხდეს ბრალდებულის ინფორმირება, მისი ბრალდების ხასიათისა და მიზეზების შესახებ. სტრასბურგის სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის ა. და ბ. ქვეპუნქტები დაკავშირებულია და რომ ბრალდების ხასიათისა და მიზეზების შესახებ ინფორმირების უფლება უნდა განიხილებოდეს ბრალდებულის უფლების ჭრილში - მოამზადოს თავდაცვა (*Pélissier and Sassi v. France* [GC], no. 25444/94, 25.3.1999, § 51, ECHR 1999-II).

29. წინამდებარე საქმეში, მიუხედავად იმისა, რომ რაიონულმა სასამართლომ გადაწყვეტილების გამოტანამდე რამდენიმე კვირით ადრე აღნიშნა ბრალდების შესაძლო გადაკვალიფიცირების შესახებ, უდავოა, რომ 1998 წლის 22 მაისის მსჯავრდებამდე მომჩივანმა არ იცოდა, რომ რაიონული სასამართლო შესაძლოა მის ბრალდებას გადააკვალიფიცირებდა როგორც სამსახურეობრივი მოვალეობის გაუფრთხილებლობით შეუსრულებლობას. ამ გარემოებამ, შეაფერხა მომჩივნის მიერ დაცვის უფლებით სარგებლობა.

30. ამასთან, სტრასბურგის სასამართლო კიდევ ერთხელ აღნიშნავს, რომ მე-6 მუხლთან შესაბამისობა განხილული უნდა იქნეს მთლიანი სამართალწარმოების ჭრილში, მათ შორის სააპელაციო საქმისწარმოებაც. ზემოხსენებული *Dallos* -ის საქმეში, რომელიც ეხებოდა სააპელაციო სასამართლოს მიერ ბრალდების გადაკვალიფიცირებას, სტრასბურგის სასამართლომ გადამწყვეტი მნიშვნელობა მიანიჭა უზენაეს სასამართლოში შემდგომ სამართალწარმოებას, სადაც არ დიადგინა მე-6 მუხლის დარღვევა იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ უზენაესმა სასამართლომ საქმე განიხილა ზეპირი მოსმენით, მატერიალური და საპროცესო მოთხოვნების შესაბამისად (იხ. the *Dallos v. Hungary* judgment cited above, §§ 47-53).

31. წინამდებარე საქმეში, მომჩივანს უფლება ჰქონდა სააპელაციო სასამართლოში გაესაჩივრებინა საკუთარი მსჯავრდება ყველა შესაბამის სამართლებრივ და ფაქტობრივ ასპექტებთან მიმართებით. ამ უკანასკნელმა, საქმე განიხილა ზეპირი სააპელაციო მოსმენით და განიხილა მომჩივნის საჩივრები ბრალდების გადაკვალიფიცირების თაობაზე, როგორც მატერიალური ასევე საპროცესო მოთხოვნების თვალსაზრისით. სადავო არ იყო, რომ სააპელაციო სასამართლოს არ გააჩნდა უფლებამოსილება გაეუქმებინა მომჩივნის მსჯავრდება ან, რომ სააპელაციო დონეზე მომჩივანს არ შეეძლო საკუთარი თავის დაცვა შეცვლილ ბრალდებასთან დაკავშირებით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მსჯავრდება ძალაში შევიდა მხოლოდ

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გამოქვეყნების შემდეგ. გარდა ამისა, სააპელაციო სამართალწარმოების წარუმატებელი შედეგის შემდეგაც, მომჩივნის საქმე საკასაციო დონეზე განიხილა უზენაესმა სასამართლომ, რომელმაც ასევე შეისწავლა ახალი კლასიფიკაციის მატერიალური და საპროცესო ელემენტები და კომპეტენტური იყო მომჩივნისთვის გაეწია დახმარება. ის ფაქტი, რომ როგორც სააპელაციო ასევე საკასაციო დონეზე მომჩივნის საჩივრები ბრალდების გადაკვალიფიცირების წინააღმდეგ, იყო წარუმატებელი არ მიუთითებსს იმაზე, რომ სამართალწარმოებებს არ შეეძლოთ პირველი ინსტანციის საქმისწარმოების ხარვეზების გამოსწორება.

32. შესაბამისად, სტრასბურგის სასამართლო მიიჩნევს, რომ მომჩივანს შესაძლებლობა ჰქონდა წარედგინა ესარგებლა დაცვის უფლებით სააპელაციო და უზენაეს სასამართლოებში. ამ თვალსაზრისით, წინამდებარე საქმე უნდა განვასხვაოთ ზემოხსენებული *Pélissier and Sassi* -ის საქმისგან (*loc. cit.*, §§ 51-63), სადაც საკასაციო სასამართლომ ხელახლა არ განიხილა სააპელაციო სასამართლოს „დისკრეცია“ ბრალდების გადაკვალიფიცირებასთან მიმართებით, ან საქმე *T. v. Austria* (no. 27783/95, 14.11.2000, §§ 70-72), სადაც მომჩივნის საჩივრები ბრალდების გადაკვალიფიცირების წინააღმდეგ უარყოფილი იქნა ახლადაღმოჩენილი ფაქტების საფუძველზე, რომლებიც დაუშვებელი იყო სააპელაციო დონეზე, სააპელაციო სასამართლოში საქმის მოსმენის გარეშე.

33. მთლიანობაში, სამართალწარმოების სამართლიანობის შეფასებისას, სტრასბურგის სასამართლო დარწმუნებულია, რომ რაიონულ სასამართლოში საქმისწარმოების ნებისმიერი დეფექტი გამოსწორებული იქნა მისი განხილვის გზით (იხ, *mutatis mutandis*, the *Dallos* case ციტირებული ზემოთ, იქვე.). შესაბამისად, ევროპული სასამართლო დარწმუნებულია, რომ მომჩივნის უფლება დეტალურად ინფორმირებული იყოს მისი ბრალდების ხასიათისა და მიზეზის შესახებ და ჰქონდეს ადეკვატური დრო და შესაძლებლობა დაცვის მოსამზადებლად, არ ყოფილა დარღვეული.

34. აქედან გამომდინარე, არ დადგინდა კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევა.